კიტი მაჩაბელი

ივანე ჯავახიშვილი
და ქართული ხელოვნება

ქართველ მეცნიერთა შორის, რომლებმაც XX საუკუნის დასაწყისში არსებითად საფუძველი ჩაუყარეს ქართული მეცნიერების არაერთ დარგს, განსაკუთრებული, გამორჩეული ადგილი უკავია თანამედროვე ქართული საისტორიო მეცნიერების ფუძემდებლის, დიდი მეცნიერისა და მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის პიროვნებას. ფართოა ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო დიაპაზონი, კვლევითი ინტერესების მრავალმხრივობა. არ არსებობს ქვეყნის ისტორიის არცერთი სფერო, რომელსაც თავისი ღრმა გამოკვლევით არ შეხებოდა მეცნიერი.

სამეცნიერო მოღვაწეობის პირველივე ნაბიჯებიდან ცხადი იყო ივანე ჯავახიშვილის ინტერესების მასშტაბები: ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხები, წყაროთმცოდნეობა, ისტორიული გეოგრაფია, პოლიტიკური ისტორია, ქვეყნის სოციალური სტრუქტურა, ეთნოგრაფია, ეკონომიკის ისტორია, სამართლის ისტორია, არქეოლოგია, ნუმიზმატიკა, პალეოგრაფია. იმავდროულად, ივანე ჯავახიშვილი – კულტურის ძეგლთა დაცვაზე და სამუზეუმო საქმეზე მზრუნველი, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამდგენელი, ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი – სამეცნიერო, კულტურული და საზოგადოებრივი აქტიურობის იშვიათი მაგალითია. ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობა თავისი მრავალმხრივობით, ისტორიული მეცნიერების არეალის გაფართოებით, კვლევის სიღრმით და მეთოდოლოგიით შორს გასცდა თავის დროს და მისი შრომები სავსებით თანხმიანია თანამედროვე სამეცნიერო კვლევათა პრობლემატიკისა და პრიორიტეტების.

ივ. ჯავახიშვილის – ისტორიკოსის – დამსახურება ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში ფართოდ არის ცნობილი. ჩემი მიზანია შევეხო მის განსაკუთრებულ დამსახურებას ქართული ხელოვნების კვლევის სფეროში. მეცნიერმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველივე ნაბიჯებიდან დიდი ყურადღება დაუთმო ქართული მატერიალური კულტურის ისტორიის ღრმად შესწავლის აუცილებლობას. თავის ნაშრომებში იგი არაერთგზის აღნიშნავდა ეროვნული ხელოვნების ძეგლების მნიშვნელობას ქვეყნის ისტორიაში. თავისი ერთ-ერთი ადრეული ნაშრომის შესავალში, რომელიც ძველ ქართულ სამშენებლო ხელოვნებას მიეძღვნა, იგი პირდაპირ ამბობს: „ჩვენი კვლევის საგანს ხელოვნების ისტორია შეადგენს“.[1] მეცნიერმა აუცილებელ პირობად მიიჩნია, რომ „კულტურის ისტო-

[1] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის*, I, გვ. 1.

რიის შესწავლა ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს: 1. წერილობითი წყაროების მიხედვით და 2. ნივთიერი ნაშთების გათვალისწინებით“.

ამ ნაშრომს წინ უძღოდა XX საუკუნის დასაწყისში, ივ. ჯავახიშვილის პეტერბურგში ყოფნისას ჟურნალში “Христианский Восток” გამოქვეყნებული გამოკვლევა “Термины искусствъ и главнейшія сведенія о памятникахъ искусства и матеріальной культуры въ древнегрузинской литературе”.[1] ფაქტობრივად, ეს იყო პირველი სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელმაც ეროვნული ხელოვნების სხვადასხვა დარგის კვლევაში ქართული წერილობითი წყაროების უდიდესი მნიშვნელობა წარმოაჩინა. მეცნიერმა პირველწყაროებში მოიძია ძველი სახელოვნებო ტერმინები და ისინი ხელოვნების კონკრეტულ ძეგლებთან კავშირში განიხილა. ნაშრომში მოცემული იყო იმ წერილობით წყაროთა ჩამონათვალი, რომლითაც ხელმძღვანელობდა მკვლევარი ხელოვნებასთან დაკავშირებული ძველი ქართული ტერმინების მოპოვებისას. წერილობით წყაროებს შორის იყო წმინდანთა ცხოვრებანი, ისტორიული თხზულებები, ეპიგრაფიკული ძეგლები, პოეტური ქმნილებები, ისტორიული საბუთები (სიგელ-გუჯრები, ქრონიკები, სამონასტრო და საეკლესიო რეესტრები), წმინდა წერილის ქართული თარგმანები, სომეხი, ბიზანტიელი და ირანელი ისტორიკოსების თხზულებები, დასავლეთ ევროპელ მოგზაურთა აღწერები (არქანჯელო ლამბერტი, შარდენი, ტურნეფორი). ნაშრომის ავტორი ხსნის ძველ ქართულ ტერმინთა მნიშვნელობას და თვლის, რომ მის მიერ მოპოვებული მასალა ქართული ხელოვნების მკვლევრებს მნიშვნელოვნად გაუადვილებს მუშაობას ეროვნული ხელოვნების ძეგლთა შესწავლის საქმეში. მეცნიერმა ღრმა და სერიოზული კვლევის შედეგად მიაღწია დასახულ მიზანს – ხელოვნების შესახებ სიტყვების და ტერმინების შეკრებას და მათი მნიშვნელობის გამორკვევას.

ბ-ნ ივანეს ამ პუბლიკაციაში წარმოდგენილი იყო ხუროთმოძღვრებასთან დაკაშირებული ძველი ქართული ტერმინები. ნაშრომის დასაწყისშივე მეცნიერი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ლიტერატურაში, რომელიც ქართული ხელოვნების შესწავლას ეხება, ამ დრომდე არ იყო მოპოვებული ხელოვნებასთან დაკავშირებული ძველი ტერმინები, არ იყო გარკვეული მათი რეალური მნიშვნელობა. ამის გამო ძეგლების შესწავლისა და მათი შეფასებისას შეუძლებელი იყო სათანადოდ და ამომწურავად ყოფილიყო გამოყენებული საქართველოში მრავლად შემონახული ცნობები ხელოვნების ნიმუშების შესახებ, რომლებიც ეპიგრაფიკული მონაცემების სახით არსებობდა არქიტექტურულ ნაგებობებზე, ხატებზე, სხვადასხვა ნივთებზე, ისტორიულ და ლიტერატურულ თხზულებებში, ნაირგვარ საბუთებში.[2] ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ ქართულ და უცხოურ წყაროებში ცნობების მოძიებას ივ. ჯავახიშვილი მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში აგრძელებდა.

---

[1] Джавахов, *Термины искусствъ,* გვ. 17-31.

[2] იქვე, გვ. 17.

ივ. ჯავახიშვილმა ამ ნაშრომში მოგვცა ხუროთმოძღვრულ ტერმინთა მთელი წყების ზუსტად დადგენილი მნიშვნელობანი. ყოველი ტერმინის ახსნას თან ახლავს იმ ძეგლთა მიმოხილვა და დახასიათება, რომელთაც მოიხსენიებენ ძველი ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები. ყოველი ტერმინის განსაზღვრას ახლავს ნაირგვარ საბუთთა მთელი სპექტრი.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: ნაშრომში მოცემულია ტერმინის – „რიგი“ განსაზღვრა, რომელიც ძველ ქართულ წერილობით წყაროებში გამოიყენებოდა „მხატვრული სტილის“ მნიშვნელობით, ამ დასკვნას მეცნიერი აკეთებს არაერთი ტექსტისა და მასთან დაკავშირებული ძეგლის მხატვრული ანალიზის საფუძველზე.[1]

ტერმინ „სიონის“ განხილვისას მკვლევარი კონკრეტული არქიტექტურული ძეგლების მაგალითზე არკვევს, რომელი ტიპის რელიგიურ ნაგებობას აღნიშნავდნენ ძველ საქართველოში ამ ტერმინით. წერილობითი წყაროების შესწავლისა და კონკრეტული ტაძრების განხილვის შედეგად ასკვნის, რომ სიონის სახელით ბაზილიკური ტაძრები მოიხსენიებოდნენ.[2]

საინტერესოა ტერმინების – „ეკლესია“, „საყდარი“, „ტაძარი“ მნიშვნელობის დასაზუსტებლად მოხმობილი უამრავი ქართული და უცხოური საბუთების კრიტიკული განხილვით მოპოვებული მტკიცებულებები.

საყურადღებოა, როგორ არკვევს მკვლევარი ტერმინის „სტოვაჲ“-ის („სტოა“, „შტოჲ“) მნიშვნელობას. მისი ზუსტი განსაზღვრისათვის იგი განიხილავს კონკრეტული არქიტექტურული ძეგლების სტრუქტურას და გამოაქვს დასკვნა, ტაძრის რომელ ნაწილს აღნიშნავს ეს ძველი ქართული ტერმინი. მისი მნიშვნელობის გასარკვევად ქართულ ტექსტებთან ერთად, ფართოდ არის გამოყენებული ბერძნული ტექსტების მონაცემები. ამ კვლევამ გაამდიდრა ჩვენი სამეცნიერო ლექსიკა წარსულში არსებული და მივიწყებული ტერმინებით.[3]

ივ. ჯავახიშვილს სამეცნიერო მოღვაწეობის პირველივე წლებიდან დასახული ჰქონდა ქართული ხელოვნების ისტორიის შექმნის გეგმა.[4] ქართული ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იგი მუდამ აქტიურად იჩენდა. მეცნიერი წლების განმავლობაში თბილისსა და ქუთაისში ატარებდა ლექციებს ქართული კულტურისა და ხელოვნების ისტორიის შესახებ, რასაც ქართველი საზოგადოებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული მხატვრული კულტურის ისტორიის უფრო სრული აღქმისათვის.

ქართული ხელოვნების ისტორიის გაღრმავებული კვლევისათვის მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი „მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში“, რომლის მიზანი ისტორიკოსს შემდეგნაირად აქვს

---

[1] იქვე, გვ. 20.
[2] იქვე, გვ. 23-24, 77-78.
[3] იქვე, გვ. 25-28.
[4] ამის შესახებ იხ. ჩუბინაშვილი, *ჯავახიშვილი (1876-1940)*, გვ. 207-214.

ჩამოყალიბებული: „ჩემს უმთავრეს მიზანს სწორედ ქართული ხელოვნების ძველი ტერმინების შეკრება და გამორკვევა შეადგენს, ხოლო შემდეგ ამ ტერმინების საშუალებით, ისტორიული ცნობებითა და შეკრებილი მასალების მიხედვით წარმოვადგინო ქართული ძველი ნივთიერი კულტურის დონე მის სხვადასხვა სფეროში“.[1]

ფრაზა, რომლითაც მთავრდება ნაშრომის შესავალი ნაწილი, ზუსტად ახასიათებს მეცნიერის პიროვნებას, რომელიც ქართული კულტურისათვის მიძღვნილ ამ კოლოსალურ კვლევას ძალზე მოკრძალებულად აფასებს: „ამჟამად ჩვენ მხოლოდ იმას გადმოვცემთ, რისი გაკეთება შეუძლია ერთ ადამიანს და ისიც არა სპეციალისტს. ამ საკითხზე ვმუშაობდი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისტორიკოსმა უნდა იცოდეს წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სინამდვილე, რასაც მარტო სიტყვიერი მასალით ისე კარგად ვერ წარმოიდგენს კაცი, როგორც ნივთიერი მასალით“.[2]

ნაშრომში განხილულია როგორც საერო, ისე საეკლესიო ნაგებობები. მოხმობილია უმდიდრესი მასალა ქართული და უცხოური წერილობითი წყაროებიდან (ბერძნული, ლათინური, სომხური, სპარსული), სადაც გვხვდება ცნობები და ტერმინები სხვადასხვა ნაგებობათა შესახებ, მოცემულია ყოველი მათგანის ახსნა. საერო ნაგებობებს შორის განიხილება საცხოვრებელი სახლების ნაირსახეობები, სხვადასხვა დანიშნულების შენობები, რომელთა ძველი სახელების მთელი მრავალფეროვნება არის მოცემული. მნიშვნელოვანია სასახლეებთან და მათ სტრუქტურასთან დაკავშირებული ტერმინები („სახლი სადედოფლოჲ“, „გალიაკი“, „სახლი სალხინო“, „პალატი“, „დარბაზი“, „სრა“, „საუფლისწულო დარბაზი“), მოძიებულია სასახლეთა მშენებლობასთან დაკავშირებული ტერმინები.[3] ცალ-ცალკე არის მოცემული სასახლეთა ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები. ნაშრომში შესულია ქალაქის ნაგებობებთან და მშენებლობასთან დაკავშირებული ტერმინები, გარკვეულია მათი წარმომავლობა. ყურადღების მიღმა არ არის დარჩენილი ქალაქის ნაგებობათა არცერთი ტიპი.

დიდი ყურადღება დაეთმო საკულტო ნაგებობების აღმნიშვნელ ტერმინებს, რომლებიც განხილულია კონკრეტული არქიტექტურული ტიპების მიხედვით. უყურადღებოდ არ არის დატოვებული საკულტო დანიშნულების არცერთი ნაგებობა. საინტერესოა ეკლესიების ნაწილთა ტერმინების მოძიება, მათი ზუსტი მნიშვნელობის დადგენა („კამარა“, „შეკვრა კამარისაჲ“, „თაღი“, „პატრონიკე“, „ბჭე“, „საბურავი“ და მრავალი სხვა).[4] მოვიყვან ერთ ცნობას, რომელსაც მეცნიერი განიხილავს ტერმინ „გვირგვინ-გუმბათთან“ დაკავშირებით. საბა ნინოწმინდელი მიტროპოლიტი თავის ერთ-ერთ გუჯარში აღწერს ეკლესიის დაზიანებული გუმბათის აღდგენის პროცესს. იგი

[1] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის*, I, გვ. 2.
[2] იქვე, გვ. 4.
[3] იქვე, გვ. 10-19.
[4] იქვე, გვ. 98-101.

აღნიშნავს დიდ ზიანს, რომელიც მიაყენა ეკლესიას დაძველებულმა გუმბათმა და ხაზს უსვამს გუმბათის აღდგენასთან დაკავშირებულ სირთულეებს. გუჯარში მოთხრობილია, რომ შეკეთებული გუმბათი სამუშაოს დასრულებამდე ჯერ შეამოწმეს, რათა გაეგოთ, როგორ დაიცავდა იგი ეკლესიას წყლისაგან. პირველმა ცდამ არ გაამართლა და მოუხდათ მისი თავიდან აღმართვა. სამუშაო დასრულდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მეორედ შეამოწმეს და დარწმუნდნენ კონსტრუქციის სანდოობაში.[1] კარგი იქნებოდა, რომ ხუროთმოძღვრული ძეგლების რესტავრაციის დროს ჩვენ ხანდახან მაინც ვიხსენებდეთ წინაპრების მიერ გამოყენებულ პრაქტიკას და უფრო დიდი ყურადღებით და პასუხისმგებლობით ვუვლიდეთ ჩვენამდე ღვთის წყალობითა და წინაპართა ზრუნვით მოღწეულ უნიკალურ ძეგლებს (!).

ნაშრომში გულდასმით არის განხილული ეკლესიის შიდა ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები და მოცემულია ეკლესიის ინტერიერის ზუსტი აღწერა. ყურადღება დაეთმო ეკლესიის ყოველ ნაწილს, განისაზღვრა მათი ფუნქციები. ყოველ ტერმინს ახლავს იმ წერილობით წყაროთა ჩამონათვალი, რომლებშიც იგი არის მოხსენიებული. ამგვარი მიდგომა ქმნის სრულ წარმოდგენას აღნიშნული ტერმინის მნიშვნელობაზე. გასაოცარია შეკრებილი და დაზუსტებული სამშენებლო ტერმინების სიმრავლე, კონკრეტულ ძეგლებთან და ნაგებობათა ნაწილებთან მათი დაკავშირება, საკულტო ძეგლების ტიპებისა და მათი ნაწილების ანალიზი, რაც ახლავს ყოველ ტერმინს.

სასახლეებისადმი მიძღვნილ თავში ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას აჩერებს სასახლის ინტერიერების „შეკაზმვაზე“. მოყვანილია წერილობით წყაროებში მოხსენიებული სასახლეების შემკულობაში გამოყენებული მარმარილოსა და ძვირფასი ქვების („ბივრილიონი“, „ლიგვირიონი“) ჩამონათვალი.[2] სამშენებლო მასალების ნაირგვარობის აღნიშვნასთან ერთად, მკვლევარი ეხება შუა საუკუნეების სასახლეებში მხატვრობის გამოყენების საკითხს. ამის უფლებას მას აძლევს ძველ ქართულ წყაროებში სასახლეებთან დაკავშირებით არაერთხელ ნახსენები „სრათა მოკაზმვა“.

ამ საკითხზე ყურადღების შეჩერებით ივ. ჯავახიშვილი შეეხო ქართული მხატვრობის ისტორიის ძალზე საინტერესო საკითხს – ისტორიული პორტრეტის შექმნის ვითარებას ძველ საქართველოში. ეს საკითხიც განიხილება წერილობითი წყაროებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების მონაცემების საფუძველზე.[3] მეცნიერს აქ უკვე დასახული აქვს ქართული ისტორიული პორტრეტის განვითარების კვლევის გეზი. იგი აუცილებლად თვლის, რომ ამ საკითხზე მუშაობისას გათვალისწინებული უნდა იყოს პორტრეტების ორი განსხვავებული ჯგუფი, რომელთაც თავისებური მიდგომა ესაჭიროება. ქართული მხატვრობის ისტორიის ეს მნიშვნელოვანი საკითხიც მეცნიერის მიერ ზუსტად არის ჩამოყალიბებული.

---

[1] იქვე, გვ. 113-114.
[2] იქვე, გვ. 135.
[3] იქვე, გვ. 136-137.

მეცნიერი ზუსტად განსაზღვრავს ქართული კედლის მხატვრობის მთავარ მახასიათებლებს. იგი მეცნიერის განსაკუთრებული ინტუიციით გრძნობს ქართული ფრესკის სტილს და აღნიშნავს, რომ „ქართულ მხატვრობას მონუმენტურობისადმი, ძეგლებრივი, ფართო ასპარეზისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება“ ახასიათებს.[1] ამასთანავე, იგი მოკლედ მიმოიხილავს კედლის მხატვრობის განვითარების თავისებურებას და საგანგებოდ აღნიშნავს XII-XIII საუკუნეების „საეკლესიო მხატვრობის ხელოვნებაში ახალი ცხოველმყოფელი მიმართულების“ გაჩენას.[2]

ნაშრომი შორს გასცდა მეცნიერის მიერ დასახულ მიზანს და ძველ საქართველოში სამშენებლო ხელოვნების ისტორიის წარმოდგენასთან ერთად მასში მონიშნულია ქართული ხელოვნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფეროს – კედლის მხატვრობის კვლევის აუცილებლობა.

ივ. ჯავახიშვილი ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისადმი მიძღვნილ ამ ნაშრომს განიხილავდა არა მხოლოდ როგორც ქვეყნის სამშენებლო ხელოვნების ისტორიის კვლევას, არამედ როგორც ახალი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებისათვის აუცილებელ საფუძველს. „თანამედროვე განახლებულს ქართულ ხუროთმოძღვრებას სრული უფლება აქვს საეკლესიო ძეგლებში ძველი ქართული ხუროთმოძღვრების წიაღიდგან შეთვისებული და დაცული ელემენტები [...] საერო განახლებული ქართული ხუროთმოძღვრებისთვის გამოიყენოს“ – წერდა ბ-ნი ივანე.[3] ამასთანავე, მეცნიერი აუცილებლად მიიჩნევდა, რომ წარსულის ელემენტები ახალ მშენებლობაში „მიზანშეწონილად და მოხდენილად“ უნდა იყოს გამოყენებული.

ივ. ჯავახიშვილის ამ ნაშრომის პუბლიკაციის დამატებაში (დამატება II – „ძველი ქართული მემკვიდრეობის ათვისებისა და თანამედროვე ქართული ხელოვნების ამოცანები“),[4] რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს დამოუკიდებელ ნაშრომს, მოკლედ და მკაფიოდ არის განხილული ისეთი პრობლემები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა. საუკუნის წინ დაწერილ ამ სტრიქონებში მკვლევარი არა მხოლოდ ხაზს უსვამს ძველი ქართული ხელოვნების ისტორიულ მნიშვნელობას, არამედ მკაფიოდ აყალიბებს თანამედროვე ეპოქაში ეროვნული მემკვიდრეობის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებსა და ამოცანებს, განიხილავს ამ საკითხის როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მხარეს. ავტორი ზუსტად განსაზღვრავს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების დამახასიათებელ ნიშნებს, მათ შორის პროპორციულობის განსაკუთრებულ გრძნობას, ნაწილთა მიზანშეწონილობას. დასძენს, რომ ძველი მშენებლები ხელმძღვანელობდნენ არა მხოლოდ თავისი ნიჭიერებით და მხატვრული გემოვნებით, არამედ კარგად გათვლილი პროპორციების ზუსტი კანონებით. მეცნიერი დაასკვნის,

[1] იქვე, გვ. 201-202.
[2] იქვე, გვ. 202.
[3] იქვე, გვ. 498-499.
[4] იქვე, გვ. 191-211.

რომ ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისა და თეორიის ცოდნა არის თანამედროვე ქართული მშენებლობის წარმატების აუცილებელი პირობა. მეცნიერის მიერ თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარების ხელშესაწყობად დასახული გეგმა მომავლისკენ იყო მიმართული: „ჩვენი მოვალეობაა მიზანშეწონილი გეგმა გვქონდეს ქართული ხელოვნების ძველი მემკვიდრეობის ათვისებისა და თანამედროვე ხელოვნების ამოცანების განსახორციელებლად“.[1]

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს ძველ ქართველ ხუროთმოძღვართა, მხატვართა, ოქრომჭედელთა, მინიატურისტთა ქმნილებებში „განუმეორებლობის კანონის“ მოქმედებას, რომელიც შემოქმედთათვის წარმატებული მუშაობისთვის დამატებით სტიმულს წარმოადგენდა და როგორც მეცნიერი ამბობს, „ახალ-ახალი სახეობის შექმნას უკარნახებდა“.[2] ამგვარი შემოქმედებითი მიდგომა ქართველ მშენებლებს შესაძლებლობას აძლევდა შეექმნათ ეროვნული ნიშნით აღბეჭდილი ნაგებობები. ქართული ხუროთმოძღვრების ღირსებების აღნიშვნისას მეცნიერი ზუსტ, მეტყველ და ცოცხალ დახასიათებებს იყენებს.

ისტორიკოსი მასშტაბურად ხედავს ძველ ქართულ სამშენებლო ხელოვნებას. ხუროთმოძღვრების ძეგლებზე მსჯელობას მოსდევს მათი შემამკობელი რელიეფური დეკორის მნიშვნელობის ხაზგასმა, ყურადღების შეჩერება შუა საუკუნეების ქართული ფრესკული მხატვრობის გამორჩეულ ნიმუშებსა და ხელნაწერი წიგნების მინიატურულ მხატვრობაზე. მეცნიერი მაღალ შეფასებას აძლევს ძველ ქართველ მხატვართა შემოქმედებას და აღნიშნავს „მხატვრობის უაღრესად განვითარებული ტექნიკის ცოდნას“, რომელიც „ფერადოვნების გრძნობასთან და კეთილშობილური გემოვნების გამოსახულებებთან ჰარმონიულად არის შეხამებული“.[3] ნაშრომში მიმოხილულია ქართული ხელნაწერი წიგნების დამსურათებელ მხატვართა შემოქმედება. წიგნის გაფორმების სფეროში მომუშავე თანამედროვე ქართველ მხატვრებს მეცნიერი ურჩევს კარგად გაეცნონ წიგნის დასურათების ეროვნულ საგანძურს, გაითვალისწინონ და გააგრძელონ ეროვნული ტრადიცია.[4]

ბ-ნ ივანეს თავიდანვე ჰქონდა დაგეგმილი ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის სხვადასხვა სფეროსადმი მიძღვნილი ნაშრომების შექმნა, რომლებშიც აისახებოდა ერის კულტურის ისტორიის რეალური სურათი. საკმარისია იმის ჩამოთვლა, თუ რა საკითხებს შეეხო მეცნიერი ამ გამოკვლევებში, რომ ცხადი გახდეს, რა მასშტაბისა და რა მნიშვნელობის მასალები არის მის მიერ დამუშავებული. ამ საკითხთა შორის საგანგებოდ უნდა გამოვყო ქართული ისტორიული სამოსისადმი მიძღვნილი გამოკვლე-

[1] იქვე, გვ. 211.
[2] იქვე, გვ. 194.
[3] იქვე, გვ. 201.
[4] იქვე, გვ. 204.

ვა.[1] ქართული მატერიალური კულტურის ეს სფერო პირველად გახდა სამეცნიერო კვლევის საგანი. ნაშრომმა საქართველოს კულტურის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი სრულიად ახალი მიდგომა გვიჩვენა. მეცნიერი სვამს საკითხს ქართული ტანსაცმლის სათავეების შესახებ, განიხილავს საქართველოში არსებული სამოსის მრავალფეროვნებას და ამ სფეროს საგანგებო კვლევის აუცილებლობას უსვამს ხაზს. ქართული და უცხოური მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროების გამოყენებით ნაშრომში განხილულია შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებსა და კედლის მხატვრობაში გამოსახულ პიროვნებათა კოსტიუმები, დადგენილია სამოსლის ფორმებისა და ჩაცმულობის ნაწილთა აღმნიშვნელი ტერმინები, სამოსლის შემკულობის ნაირსახეობები. ნაშრომში წარმოდგენილი არის საზოგადოების სხვადასხვა ფენაში გავრცელებული სამოსელი, მოცემულია არა მხოლოდ კოსტიუმების ტიპების აღმნიშვნელი ტერმინები, არამედ მათი თარგების, სამკაულების, თავსაბურავების, სხვადასხვა ქსოვილების ძველი სახელები.

***

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბ-ნი ივანეს ღვაწლი საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარებაში. 30-იანი წლებიდან იგი აქტიურად მუშაობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ჯერ სამეცნიერო კონსულტანტად, შემდეგ ისტორიული განყოფილების გამგედ. ივ. ჯავახიშვილი გულმოდგინებით ჩაერთო სამუზეუმო საქმიანობაში, მისი ზრუნვა მუზეუმის ყველა დეტალს შეეხო, მისი ხელმძღვანელობა დაეტყო მუზეუმის მუშაობის ყველა სფეროს. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა სამუზეუმო ნივთების პროფესიულ კონსერვაციას. მას აუცილებლად მიაჩნდა, რომ ყოველი ნივთის გამოფენას წინ უნდა უსწრებდეს მისი სამეცნიერო კვლევა. მეცნიერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ექსპონატების გამოფენის პრინციპებს. საგანგებო საზრუნავი იყო სამუზეუმო საქმის პროფესიონალთა კადრების მომზადება. მას მიაჩნდა, რომ მუზეუმის თანამშრომელი, რომელსაც ეროვნული საგანძურის დაცვა ევალება, აუცილებლად უნდა იყოს მკვლევარი და იგი ძეგლთა დაცვის თეორიულ და პრაქტიკულ უნარს უნდა ფლობდეს, ერკვეოდეს საგამოფენო საქმიანობაში. მეცნიერის ღრმა რწმენით, მუზეუმი არის არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ აღმზრდელობით-საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს.

ბ-ნი ივანე ცდილობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემონახული ძველი ხელოვნების ქმნილებების გადარჩენასა და მუზეუმში მათ თავმოყრას. მან ყურადღება მიაქცია მარტვილის მონასტერში დაცულ ხელოვ-

[1] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის*, III, IV.

ნების საგანძურს და აუცილებლად ჩათვალა მისი განთავსება საქართველოს მუზეუმში, რადგან თვლიდა, რომ ისტორიულად და მხატვრულად დიდად მნიშვნელოვანი სიძველეები სათანადო დაცვას, მოვლასა და შესწავლას საჭიროებენ. განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა მეცნიერი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ადგილობრივი ეთნოგრაფიული მუზეუმების შექმნაზე.[1]

30-იან წლებში მუზეუმის წინაშე დიდი და რთული ამოცანა იდგა – „ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით განზრახული იყო შოთა რუსთაველის ეპოქის ქართული მატერიალური კულტურის დიდი გამოფენის მოწყობა. ამ მიზნით შეიქმნა „შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი", რომელსაც სათავეში ივ. ჯავახიშვილი ჩაუდგა. მუზეუმმა დიდი მუშაობა ჩაატარა ქართული მატერიალური კულტურის სფეროში მასალის შესაგროვებლად. ამ მიზნით ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით არქეოლოგიური ექსპედიციები მოეწყო დმანისში, ბოლნისში, გუდარეხში, გეგუთში. ექსპედიციებმა დიდი ისტორიული მნიშვნელობის მასალა მოიპოვეს, რომელიც სამეცნიერო კვლევებისათვის ფართო შესაძლებლობებს იძლეოდა. არსებითად, ივ. ჯავახიშვილმა ამ ექსპედიციების მოწყობით საქართველოში საფუძველი ჩაუყარა შუა საუკუნეების არქეოლოგიას. მეცნიერი მიზნად ისახავდა მოეძიებია მასალები ძველი საქართველოს ქალაქებისა და ძეგლების ღრმა მეცნიერული და სახელოვნებო შესწავლისათვის, რაც დიდად შეუწყობდა ხელს ქვეყნის ცოცხალი ისტორიის აღდგენას. ფეოდალური ხანის არქეოლოგიამ საქართველოში აქედან დაიწყო თავისი წარმატებული განვითარება და ამ საქმეში გადამწყვეტი იყო ივ. ჯავახიშვილის აქტიური მონაწილეობა.

საიუბილეო გამოფენის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს ვიგებთ თავად ივ. ჯავახიშვილის წერილიდან „შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა",[2] რომელშიც იგი განიხილავს პრინციპებს, რომელთა მიხედვით უნდა მოეწყოს გამოფენა, რათა მიღწეული იყოს მთავარი მიზანი – XII-XIII საუკუნეთა ქართული კულტურის ფართო და ღირსეული წარმოჩენა. დასახული იყო ჩასატარებელი მუშაობის ზუსტი გეგმა. გამოფენის სამი სექტორიდან ერთი ხელოვნებას ეძღვნებოდა. მაქსიმალურად უნდა გამოფენილიყო ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალმხატვრული ნაწარმოებები. „გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ხელობის, მწიგნობრობის, ჭედვითი, მეჭურჭლეობისა და სხვა ნიმუშებიც" – ვკითხულობთ ივ. ჯავახიშვილის წერილში.[3]

ავტორი დაწვრილებით განიხილავს გამოფენის ყოველ დეტალს. განსაკუთრებით უსვამს ხაზს მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალების გამოფენის მნიშვნელობას. მაგალითისთვის ასახელებს დმანისის ნაქალაქარში ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით და გიორგი ჩუბინაშვილის

---

[1] ჯორბენაძე, *ცხოვრება და ღვაწლი*, გვ. 451.
[2] ჯავახიშვილი, *შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის*, გვ. 49-56.
[3] იქვე, გვ. 55.

კონსულტაციით მოპოვებულ მასალებს. ასევე აღნიშნავს გიორგი ჩუბინაშვილის განსაკუთრებულ როლს გამოფენის ხელოვნების ნაწილის მომზადებაში.

ივ. ჯავახიშვილი უშუალოდ მონაწილეობდა გამოფენის მატერიალური კულტურის განყოფილების მოწყობაში, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ექსპოზიციის მხატვრულ მხარეს. მისი ძალისხმევით მოწყობილ გამოფენას უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ წერილში გ. ჩუბინაშვილი მაღალ შეფასებას აძლევს ბ-ნ ივანეს ხელმძღვანელობით მოწყობილ საიუბილეო გამოფენას და აღნიშნავს: „ივანე ჯავახიშვილმა დაასურათა და გვიჩვენა მთელი თავისი ნაირსახეობით ხელოვნება მაშინდელ ძეგლთა ექსცერპირების მეშვეობით“.[1]

აქვე უნდა ვახსენო, როგორი კმაყოფილებით შეხვდა ივ. ჯავახიშვილი გიორგი ჩუბინაშვილის მიერ 1930 წელს ბერლინსა და გერმანიის ქალაქებში მოწყობილ შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების გამოფენას, რომელმაც ქართული ხელოვნება პირველად წარმოადგინა ევროპაში. გამოფენას დიდი რეზონანსი ჰქონდა. ევროპამ ღირსეულად დააფასა ძველ ქართველ შემოქმედთა ქმნილებები. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ეს მოვლენა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქართული ხელოვნების საერთაშორისო აღიარების მისაღწევად. ამ პერიოდში გამოქვეყნებულ წერილებში ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას განსაკუთრებულად ამახვილებდა ქართული კულტურის ისტორიის სერიოზული და ღრმა კვლევის აუცილებლობაზე, ქართული მეცნიერების მიღწევების საერთაშორისო ასპარეზზე გატანაზე. საკითხების დასმასთან ერთად, მეცნიერი კონკრეტულ ღონისძიებებს სახავდა.

ერთ-ერთ თავის წერილში ივ. ჯავახიშვილს აქვს ასეთი ფრაზა: „საქართველო მთლიანად მუზეუმია“. ამით ბევრი რამ არის ნათქვამი. სწორედ სამუზეუმო მასალისადმი სათუთი მოპყრობა განსაზღვრავდა მეცნიერის დამოკიდებულებას საქართველოს სიძველეებისადმი მთელი ქვეყნის მასშტაბით.

***

ივ. ჯავახიშვილი საისტორიო მეცნიერების განვითარებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არქეოლოგიას.[2] იგი აუცილებლად მიიჩნევდა ამ დარგში სისტემატურ, გეგმიურ მუშაობას და თავად ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ სფეროში მიმდინარე საქმიანობას. განსაკუთრებულია მისი წვლილი

[1] ჩუბინაშვილი, *ივანე ჯავახიშვილი (1876-1940)*, გვ. 212.

[2] ივ. ჯავახიშვილის ღვაწლზე ქართული არქეოლოგიის განვითარებასა და მის მიღწევებში საინტერესო მასალას გვთავაზობს გ. ლომთათიძე თავის წერილში „*ივანე ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში*“, გვ. 1-36.

მცხეთის რაიონში მიმდინარე არქეოლოგიური ექსპედიციების მუშობაში, რომლებმაც საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდის, წელთაღრიცხვათა მიჯნის უნიკალური მასალა მოიპოვეს. მცხეთაში აღმოჩენილმა ხელოვნების ქმნილებებმა იბერიის სამეფოს ისტორიის ბევრ საკითხს მოჰფინა ნათელი. ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელობა ივ. ჯავახიშვილს დაევალა. ამასთან დაკავშირებით მისი თავმჯდომარეობით შეიქმნა ექსპერტთა კომისია, რომელშიც გამოჩენილი ქართველი მეცნიერები შედიოდნენ (ს. ჯანაშია, გ. ჩუბინაშვილი, გ. ნიორაძე, ნ. ბერძენიშვილი, შ. ამირანაშვილი). ამ ექსპედიციების ანგარიშებში ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამს მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ლითონის მხატვრული ნაკეთობების (ოქროს სამკაულების, ძვირფასი ჭურჭლის) დიდ მნიშვნელობას ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისის იბერიის სამეფოს ისტორიის მთავარი საკითხების გასარკვევად.[1]

ხელოვნების მთელი ისტორია ადასტურებს, რომ ხელოვნების ქმნილებებში ზუსტად აირეკლება ქვეყანაში მიმდინარე პროცესები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამგვარ „ისტორიულ საბუთებად“ წარმოგვიდგება არმაზისხევის პიტიახშთა ნეკროპოლში მოპოვებული უნიკალური მასალა, რომელმაც საშუალება მისცა ისტორიკოსებს გაეკეთებინათ დასკვნები ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეთა იბერიის სამეფოს პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ვითარების შესახებ. მცხეთაში აღმოჩენილმა ვერცხლის ნაქანდაკარის საგანძურმა საშუალება მისცა ისტორიკოსებს ამოეკითხათ მასში ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ქვეყანაში მიმდინარე პროცესები. ამასთანავე, არმაზისხევში აღმოჩენილმა მხატვრულმა ნაკეთობებმა გამოავლინა, როგორც იბერიაში ორიგინალური ადგილობრივი ხელოვნების განვითარების მაღალი დონე, ასევე მისი თავისებური მიმართება ელინისტურ და აღმოსავლურ ხელოვნებასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პიტიახშთა სამარხებში აღმოჩენილმა ხელოვნების მრავალფეროვანმა და მრავალრიცხოვანმა ნიმუშებმა მკაფიოდ წარმოაჩინა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულებები. ივ. ჯავახიშვილმა ღირსეულად შეაფასა არმაზისხევში აღმოჩენილი ხელოვნების ქმნილებები, რომლებიც მისი ღრმა რწმენით დიდად შეუწყობს ხელს ამ ეპოქის საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების ობიექტურ გადაწყვეტას.

ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომებსა და საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებისადმი მიძღვნილ წერილებში მუდამ ხაზს უსვამს ქართული ხელოვნების ისტორიის მასშტაბური კვლევის აუცილებლობას. კულტურის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად იგი მიიჩ-

[1] მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექპედიციის მუშაობისა და მისი წარმატებული შედეგების შესახებ იხ. ჯავახიშვილი, *მცხეთის არქეოლოგიური გათხრები*, გვ. 440-461.

ნევს ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის კვლევას, რომელთა შორის არის „ლითონის გამოყენებისა და ჭედვა-ჩამოსხმის ხელობის გაჩენისა და თავდაპირველი კერის და გავრცელების გზების“, „ლითონისა და ნივთიერი კულტურის შესწავლის საკითხის“ შესწავლა.[1]

ივ. ჯავახიშვილი ხელოვნების ქმნილებებს სწორედ „ისტორიულ საბუთებად“ იყენებდა, რისი არაერთი მაგალითი გვაქვს მის ნაშრომებში. საქართველოს ისტორიის რომელიმე კონკრეტული ეპოქის სრული სურათის აღსადგენად მას აუცილებლად მოჰყავს ხელოვნების თანადროული ქმნილებები, როგორც შედეგი და დასტური იმ პოლიტიკური და სოციალური მოვლენებისა, რომლებიც ახასიათებდა ქვეყანას ამ ისტორიულ ეტაპზე. ეს განსაკუთრებით შთამბეჭდავია, როდესაც საქმე ეხება საქართველოს ძლიერებისა და აღმავლობის ეპოქებს. ამგვარად არის დახასიათებული ბაგრატ III-ის წარმატებული მმართველობის, საქართველოს გაერთიანების ხანა: „ვისაც უნდა იმდროინდელი საქართველოს დაწინაურებული ცხოვრება გაითვალისწინოს, მან ქართული ხელოვნების იმდროინდელი ძეგლები ნახოს, მაგ. სამთავისის, ბოჭორმისა და სხვა ტაძრები, შესანიშნავი ბედიის საყდარი, ბაგრატ III აგებული, რომელიც აღმაშენებელმა განასრულა ყოვლითა განგებითა და შეამკო ყოვლითა სამკაულითა. თანამედროვეები განცვიფრებულები იყვნენ ამ ეკლესიის მორთულობით“.[2] ამ ეპოქის უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად მეცნიერი საგანგებოდ გამოჰყოფს ბაგრატ III-ის ტაძარს ქუთაისში რომელიც მისი თქმით, „ქართული ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკების ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ყოველთვის იქნება“.[3]

დავით აღმაშენებლის მიერ ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში მიღწეული წარმატებების საილუსტრაციოდ ბ-ნი ივანე აღტაცებულ სტრიქონებს უძღვნის ქვეყნის კეთილდღეობისთვის მზრუნველი, ბრძენი მეფის გადაწყვეტილებას გელათის ტაძრის „აღშენების“ შესახებ და ისტორიული წყაროების გამოყენებით ხატოვანად აღწერს „ყოველთა წინანდელთა ქმნულებათა აღმატებულ“ ტაძარს, რომელიც განთქმულია თავისი „სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა და მოქნულობისა შესწორებულობითა“.[4]

საქართველოს ისტორიის წარმატებული ეპოქების დახასიათებისას ივ. ჯავახიშვილი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების უფრო ზუსტი და შთამბეჭდავი წარმოდგენისათვის ასახელებს იმ დროს შექმნილ ხელოვნების სხვადასხვა დარგის გამორჩეულ ქმნილებებს, რომლებიც წერილობით საბუთებთან ერთად მეტყველად წარმოაჩენენ საქართველოს სამეფოს რეალურ ვითარებას. ასე მაგალითად, XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმავლობის ხანაზე მსჯელობისას, ქვეყნის განმტ-

---

[1] ჯავახიშვილი, *ჩვენი ამოცანები*, გვ. 8.
[2] ჯავახიშვილი, *თხზულებანი*, ტ. II, გვ.191-192.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 216.

კიცებისა და მისი საერთაშორისო მდგომარეობის საილუსტრაციოდ იგი თვლის, რომ „საკმარისია დასახელებული იყოს ისეთი დიდებული ძეგლები, როგორიც არის უბისის, ყინცვისის, გელათის კედლის მხატვრობა და მოზაიკა, ანდა, როგორც ჯრუჭის ოთხთავია, წყაროსთავის და ტბეთის სახარებათა, ხახულისა და ანჩისხატის მოჭედილობა, ისევე, როგორც ბექა და ბეშქენ ოპიზარების განმაცვიფრებელი ოქრომქანდაკებლობის ხელოვნების სხვა ქმნილებებიც“.[1]

***

ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხთა კვლევის პარალელურად, მეცნიერი ხელოვნების ძეგლთა დაცვის საქმისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში მან ეს პრობლემა პირველი რიგის აუცილებელ მოვალეობად დაუსახა ქართველ მეცნიერებს. ამის მჭევრმეტყველი ნიმუშია მის მიერ 1916 წელს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობისთვის“ წარმოდგენილი მოხსენება, რომელშიც მან „ამ მიზნის მისაღწევად და განზრახული წადილის განსახორციელებლად“ ერთ-ერთ გზად მიიჩნია „ქართული ხელოვნების ძველი ძეგლების შეგროვება, შენახვა და მეცნიერულ-მხატვრული შესწავლა“. მისი ღრმა რწმენით, ქართველ ხელოვანთა მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს „ქართული ძველი მხატვრობის ნაშთების გადარჩენა-გადმოღება-გადმოხატვა და შესწავლა“.[2]

ივ. ჯავახიშვილი ამ მოხსენებაში ძველი ქართული ხელოვნების ძეგლთა დაცვისათვის აუცილებელ პირობებს განსაზღვრავს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ამ დიდ ეროვნულ საქმეს. მეცნიერის მიერ წინასწარგანჭვრეტით არის დასახული ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები. საკმარისია, გავეცნოთ მოხსენების ტექსტს, რომ ცხადი გახდეს, რა ფართოდ და ყოველმხრივ განიხილავდა ბ-ნი ივანე ძეგლთა დაცვის გადაუდებელ ღონისძიებებს. იგი წერდა: „საჭიროა, ყველა ძეგლების შედარებითი შეფასება, როგორც ხელოვნების მხრივ, აგრეთვე იმ მიზნით, რომ თუ რომელიმე კედლის მხატვრობა ან ქანდაკებაა იმდენად დაზიანებული და ახლო მომავალში უეჭველად განადგურდება, თუ რომ დროზე შემაგრებული, ან გადმოღებულ-გადმოხატული არ იქნა“.[3]

მოხსენებაში დასახული იყო ხელოვნების ძეგლთა დასაცავად სასწრაფოდ შესასრულებელი სამუშაოები, რაც გულისხმობდა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას იმ ძეგლებისადმი, „რომელნიც განსაცდელში არიან და რომელთა გადარჩენისათვის დაუყოვნებლივ ზრუნვა გვჭირია“.

---

[1] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, II, გვ. 392.
[2] ჯავახიშვილი, *ქართველ ხელოვანთა საზოგადოების*, გვ. 44-45.
[3] იქვე, გვ. 46.

მეცნიერი საგანგებოდ აღნიშნავდა ძველი მხატვრობისა და ქანდაკების უდიდეს მნიშვნელობას ქვეყნის ისტორიისათვის. ასევე ხაზგასმული იყო ხელნაწერთა მინიატურული მხატვრობის კვლევის გადაუდებელი საჭიროება, რაც ძველი ქართული მხატვრობის განვითარების მთლიანი და ყოველმხრივი სურათის აღდგენის საშუალებას შექმნიდა. ხელნაწერთა მინიატურების მხატვრული მხარის შესწავლა უნდა ჩატარებულიყო მონუმენტური მხატვრობის, „ხელოვან ოქრომჭედლობისა" და რელიეფების საერთო კონტექსტში, რადგან „მათი შედარებითი განხილვა ფრიად ნაყოფიერი იქნება ქართული ხელოვნების ისტორიისათვის".[1]

ამ მოხსენებაში ბ-ნი ივანე საზოგადოებას ნაბახტევისა და ატენის სიონის მონახულებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას უზიარებს და ვერ მალავს სიხარულს იმის გამო, რომ ნაბახტევის ეკლესიის კედლის მხატვრობაზე მიმდინარე სამუშაოებს გულმხურვალე პროფესიონალები ასრულებენ.[2] ამასთანავე, გეგმაში იყო ეკლესიის შეკეთება და გადახურვა, რაც დაიცავდა მხატვრობას შემდეგი დაზიანებისაგან.

ატენის სიონის მონახულების შემდეგ ივ. ჯავახიშვილი მაღალ შეფასებას აძლევს საკუთრივ ტაძრისა და მისი ფერწერული და რელიეფური დეკორის მხატვრულ-ისტორიულ ღირსებებს და გამოთქვამს საფასადო რელიეფების ასლების შექმნის აუცილებლობას. იგი საგანგებოდ აკეთებს აქცენტს ატენის სიონის კედლის მხატვრობის მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიისათვის და იმავდროულად გამოთქვამს მოსაზრებას მისი სათანადო მოვლის პირობების შექმნის შესახებ.

ბ-ნი ივანე აღნიშნავს მცხეთის ჯვრის ტაძრის განსაკუთრებულობას და მიიჩნევს, რომ ამ ძეგლს საგანგებო ყურადღება სჭირდება. უპირატესად ეს ეხება ტაძრის საფასადო ქანდაკებებს, რომელთაც საქართველოს ისტორიისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. აქვე მეცნიერი ასახელებს რამდენიმე ისტორიულ ძეგლს, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ. მათ შორის არის საერო ხუროთმოძღვრების ძეგლი – მეფე ერეკლეს სასახლე თელავში, ყინცვისის ტაძარი, ნეკრესის ეკლესია, გარეჯის ეკლესიები. გასაოცარია, როგორ ახერხებდა მეცნიერი საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლთა ყველა სფეროსა და დარგის მიმართ ასეთი ყურადღების გამოჩენას. ხელოვნების სულ უმნიშვნელო ქმნილებასაც კი იგი დიდად ღირებულ ისტორიულ საბუთად განიხილავდა.

ხელოვნების ძეგლების მდგომარეობა მკვლევარის მუდმივი ზრუნვის საგანი იყო: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ და თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ იმიტომ, რომ თვითეული ისტორიული ქანდაკება ან ისტორიული მხატვრობა უნიკალურია და ჩვეულებრივ მხოლოდ

[1] იქვე, გვ. 48.

[2] ნაბახტევის მხატვრობაზე მუშაობდნენ ლადო გუდიაშვილი, გიორგი ერისთავი, მოსე და ირაკლი თოიძეები, მიხეილ ჭიაურელი, დიმიტრი შევარდნაძე.

თითო ცალად მოგვეპოვება. ამის გამო, თვითეული ამგვარი ძეგლის დაღუპვა ვეღარაფრით ვერ იქნება აღდგენილი და დანაკლისს ვერაფრითაც ვერ ავანაზღაურებთ“.[1] დიდი ქართველის ეს შეგონება, რომელიც დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, გულსა და გონებაში უნდა ჰქონდეს ყოველ ქართველს, მით უმეტესად მათ, ვისი პირდაპირი მოვალეობა არის ძეგლთა დაცვა.

ივ. ჯავახიშვილის ამ მოხსენებაში კარგად ჩანს, რა ფართოდ და ყოველმხრივ განიხილავდა იგი ძველი ქართული ხელოვნების მეცნიერული კვლევის მიმართულებებს, აუცილებლად მიიჩნევდა ხელოვნების ყველა დარგის ნაწარმოებთა ურთიერთკავშირში შესწავლას, განიხილავდა ძველი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ცოდნის მნიშვნელობას ქვეყნის ისტორიის რეალური სურათის აღსადგენად. ეს არ იყო ხელოვნების ძეგლთა მხოლოდ ისტორიული მხარის აღქმა, იგი ეროვნულ მემკვიდრეობას თანამედროვე ხელოვნების სათავეებად მიიჩნევდა და აღნიშნავდა, რომ ძველი ხელოვნების ძეგლთა შესწავლა და მათი მხატვრული მნიშვნელობის გათვალისწინება ქართული თანამედროვე ხელოვნების აღორძინების აუცილებელი პირობაა.

*

ივ. ჯავახიშვილი აქტიურად ეხმიანებოდა საქართველოს მხატვრულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს, აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის კულტურის მნიშვნელოვან მოვლენებში. ამის ერთ-ერთი მაგალითია მისი მონაწილეობა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ იაკობ ნიკოლაძისთვის 1908 წელს შეკვეთილ ილია ჭავჭავაძის ძეგლთან დაკავშირებულ ხანგრძლივ პროცესში. ბ-ნი ივანე მონაწილეობდა მონუმენტის მოდელებისა და ესკიზების განხილვაში, შეჰქონდა თავისი შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული იქნა ძეგლის საბოლოო ვარიანტის შექმნისას. მთაწმინდაზე დიდი ილიას საფლავზე „მწუხარე საქართველო“ 1918 წლის 5 მაისს დაიდგა. ივ. ჯავახიშვილი მიესალმა საქართველოში ნიჭიერი მოქანდაკის გამოჩენას, რომელმაც არსებითად საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მონუმენტური ქანდაკების განვითარებას. ამ მოვლენამ სათავე დაუდო ორი დიდი ქართველი მოღვაწის ხანგრძლივ მეგობრობას.

საგანგებოდ უნდა ვახსენოთ ივ. ჯავახიშვილის ურთიერთობა სახელოვან მხატვართან დავით კაკაბაძესთან. პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნისას ბ-ნ ივანეს ყურადღება მიიქცია განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეულმა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ფიზიკა-მათემატიკის განყოფილების სტუდენტმა დავით კაკაბაძემ, რომელიც თავისი სპეციალობის გარდა, ხელოვნებით იყო დაინტერესებული – დადიოდა სამხატვრო სტუდი-

[1] იქვე, გვ. 46.

აში, მოისმინა გამოჩენილი ხელოვნების ისტორიკოსის დიმიტრი აინალოვის ლექციების სრული კურსი და რაც მთავარია, მონაწილეობდა ივ. ჯავახიშვილის მიერ ორგანიზებულ ქართველ სტუდენტთა წრეში, რამაც გაუღვივა ინტერესი ქართული ხელოვნების ისტორიისადმი. ივ. ჯავახიშვილმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გამორჩეული ნიჭის სტუდენტს.

ბ-ნ ივანეს ხელმძღვანელობით დავით კაკაბაძემ მოამზადა გამოკვლევა „ჩუქურთმიანი სახეების განვითარება ქართულს საოქრომჭედლო ხელოვნებაში ქართული ხატების მიხედვით“, რომელიც მან პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა წრეში წაიკითხა (1912). ეს ნაშრომი შემდეგ გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოცემულ კრებულში.[1] კრებულის შესავალში ბ-ნი ივანე მაღალ შეფასებას აძლევს დ. კაკაბაძის ნაშრომს და აღნიშნავს, რომ ეს არის „ქართული მხატვრული მჭედლობის ხელოვნების“ გადაუდებელი კვლევის „დასაწყისი და პირველი საფეხური“.[2] იგი ასევე აღნიშნავს დავით კაკაბაძის მიერ შესრულებული საილუსტრაციო მასალის მაღალ ხარისხს და აღნიშნავს, რომ „ამ მოხსენების ღირსებას და სამკაულს აგრეთვე ავტორის მიერ ქართული ხატების მოჭედილობითგან გადმოღებული სურათების სახეები შეადგენს“.[3] დავით კაკაბაძისთვის ივ. ჯავახიშვილის მიერ მეოცე საუკუნის ათიან წლებში ქართული ხელოვნების ისტორიიდან შეთავაზებული თემა მხატვრისათვის მთელი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად დარჩა. თავის ბრწყინვალე შემოქმედებასთან ერთად მხატვარი გატაცებით და შემართებით იკვლევდა ქართული ჩუქურთმის ისტორიას. რისთვისაც უამრავი მასალის შეგროვება და გაანალიზება შეძლო. მას ჩაფიქრებული ჰქონდა ქართული ორნამენტის საწყისების, მისი ისტორიის სერიოზული კვლევა, რომლისთვისაც ათწლეულობის განმავლობაში უამრავი მასალა ჰქონდა მოპოვებული. სამწუხაროდ, მხატვარმა ეს მიზანი ვერ განახორციელა. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მოხერხდა მის არქივში შემონახული მასალების – ტექსტისა და ჩანახატების გამოქვეყნება.[4] დიდი მხატვრის ამ თეორიული კვლევის სათავესთან ივანე ჯავახიშვილი იდგა, რომელმაც ზუსტად განჭვრიტა, როგორც ახალგაზრდა მხატვრის იშვიათი ნიჭი, ასევე მისთვის შეთავაზებული ქართული ხელოვნების ისტორიის ამ მეტად მნიშვნელოვანი თემის კვლევის აუცილებლობა.

აქ მოყვანილი ფაქტები მკაფიოდ წარმოაჩენს ივ. ჯავახიშვილს – ისტორიკოსს, უდიდესი დიაპაზონის მქონე საზოგადო მოღვაწესა და განსაკუთრებული სამეცნიერო და მხატვრული ინტუიციით დაჯილდოებულ პიროვნებას. მის თვალსაწიერში მუდამ იყო საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული ნებისმიერი სფეროს პრობლემები, ეროვნული ხელოვნების არაერთი დარგის როგორც ისტორიის, ასევე ახალ დროში განვითარებისა

[1] კაკაბაძე, *ქართული ხატების*, გვ. 100-112.
[2] კაკაბაძე, *ქართული ხატების*, გვ. V.
[3] იქვე.
[4] კაკაბაძე, *ქართული ორნამენტის გენეზისი.*

და სრულყოფის საკითხები. ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგისადმი მიძღვნილი მისი ნაშრომები შეიცავს არა მხოლოდ კვლევას, არამედ მოსაზრებებს მომავალში კვლევის შედეგების აღნიშნულ სფეროში გამოყენების პერსპექტივის შესახებ.

ქართული ხელოვნების სხვადასხვა სფეროსადმი მიძღვნილ ბ-ნ ივანეს ნაშრომებს წითელ ხაზად გასდევს ეროვნული მხატვრული ტრადიციების შემოქმედებითად გაცოცხლების მნიშვნელობა თანამედროვე ხელოვნების განვითარებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელოვანი თავის შემოქმედებაში მტკიცედ დგას ეროვნულ ნიადაგზე, როგორი მხატვრული სტილიც არ უნდა იყოს გაბატონებული იმ ეპოქაში, მისი ქმნილება აუცილებლად „ქართულად“ აღიქმება. „უნდა გვახსოვდეს, – ვკითხულობთ ჯავახიშვილთან – მარტო იმ ხელოვნებას შესაძლებელია ჰქონდეს ფართო მომავალი და განვითარების შეუფერხებელი წარმატებაც უზრუნველყოფილი, რომელიც ერის ცხოვრების მაჯისცემას ყურს უგდებს, მის გულის ნადებს აკმაყოფილებს და მისი გონებრივისა და ესთეტიკური დაწინაურების ხელშემწყობია“.[1]

ივ. ჯავახიშვილის მასშტაბურ სამეცნიერო მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ქართული ხელოვნების ისტორიასა და მისი შემდგომი განვითარების საკითხებს. ქართული ხელოვნების სფეროში მისი ღვაწლის ამ მოკლე მიმოხილვიდანაც მკაფიოდ ჩანს, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერი ქვეყნის ისტორიის სრულყოფილი კვლევისათვის ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლის აუცილებლობას, რა სანდო ისტორიულ საბუთად წარმოგვიდგება ძველი ხელოვნების ნებისმიერი დარგის ქმნილება, თუ იგი ღრმად და საფუძვლიანად იქნება შესწავლილი თანადროული მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში, როგორ შეავსებს ჩვენი ქვეყნის კულტურის ისტორიას ძველი ხელოვნების სათავეებისა და მისი ორგანული განვითარების პროცესების მკაფიო წარმოჩენა. ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დიდი ქართველი მეცნიერის მიერ ძველი ქართული ხელოვნების სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები, მისი მოწოდება ხელოვნების ძეგლთა დაცვისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევის სასიცოცხლო აუცილებლობაზე, ახალი ხელოვნების განვითარებისათვის ძველ ხელოვანთა შექმნილი განძეულისადმი სათუთი დამოკიდებულების შესახებ დღესაც უნდა აქტიურად გამოვიყენოთ ეროვნული მხატვრული კულტურის დაცვისა და მისი შემდგომი წარმატებული განვითარებისათვის.

[1] ჯავახიშვილი, *მასალები ქარველი ერის*, I, გვ. 207.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა
Cited Sources and Literature

კაკაბაძე, *ქართული ხატების* – კაკაბაძე დ., *ქართული ხატების მოჭედილობის სახეები*, „კრებული“, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, პეტროგრადის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამოცემა, ტფილისი, 1915, გვ.100-112

(**Kakabadze, *Georgian Icons*** – Kakabadze D., *Types of Georgian Icon Repousse Revetments*, "Collection", Ed. Iv. Javakhishvili, Publication of the Georgian Students' Scientific Circle of Petrograd University, Tiflisi, 1915, pp. 100-112).

კაკაბაძე, *ქართული ორნამენტის გენეზისი* – კაკაბაძე დ., *ქართული ორნამენტის გენეზისი*, გამომც. პ. მარგველაშვილი, დ. ჯაბუა, თბილისი, 2003

(**Kakabadze, *Genesis of Georgian Ornament*** – Kakabadze D., *Genesis of Georgian Ornament*, ed. P. Margvelashvili, D. Jabua, Tbilisi, 2003).

ლომთათიძე, *ივანე ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია* – ლომთათიძე გ., *ივანე ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში*, „მიმომხილველი“, II,1951, გვ. 1-36

(**Lomtatidze**, ***Ivane Javakhishvili and Excavation Archaeology*** – Lomtatidze G., *Ivane Javakhishvili and Excavation Archaeology in Georgia*, "Mimomkhilveli", II, 1951, pp. 1-36).

ჩუბინაშვილი, *ჯავახიშვილი (1876-1940)* – ჩუბინაშვილი გ., *ჯავახიშვილი (1876-1940)*, „მნათობი“, 1943, N11-12, გვ. 207-214

(**Chubinashvili**, ***Javakhishvili (1876-1940*)** – Chubinashvili G., *Javakhishvili (1876-1940*), "Mnatobi", 1943, N11-12, pp. 207-214).

ჯავახიშვილი, *ჩვენი ამოცანები* – ჯავახიშვილი ივ., *ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერების და კულტურის ისტორიის სფეროში*, ენიმკის „მოამბე“, 1937, N1, გვ. 1-8

(**Javakhishvili, *Our tasks*** – Javakhishvili Iv., *Our tasks in the field of linguistics and cultural history*, "The Bulletin of the Academician N. I. Marr Institute of Language, History and Material Culture", 1937, N1, pp. 1-8).

ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის* – ჯავახიშვილი ივ., *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, I, *მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში*, თბილისი, 1946

(**Javakhishvili, *Materials of the Material Culture*** – Javakhishvili Iv., *Materials for the History of the Material Culture of the Georgian Nation*, I, *The Art of Construction in Ancient Georgia*, Tbilisi, 1946).

ჯავახიშვილი, *მცხეთის არქეოლოგიური გათხრები* – ჯავახიშვილი ივ., *მცხეთის არქეოლოგიური გათხრები*, წიგნში: მისივე, *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი პირველი, დამატება II, თბილისი, 1951, გვ. 440-461

(**Javakhishvili, *Archaeological Excavations of Mtskheta*** – Javakhishvili Iv., *Archaeological Excavations of Mtskheta*, In the book: Idem, *History of the Georgian Nation*, Book One, Supplement II, Tbilisi, 1951, pp. 440-461).

ჯავახიშვილი, შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის – ჯავახიშვილი ივ., *შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა*, წიგნში: მისივე, *ქართული ენის და მწერლობის საკითხები*, თბილისი, 1956, გვ. 49-56

(**Javakhishvili, *Shota Rustaveli and His Era*** – Javakhishvili Iv., *Exhibition of Shota Rustaveli and His Era,* In the book: Idem, *Issues of the Georgian Language and Writing*, Tbilisi, 1956, pp. 49-56).

ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის – ჯავახიშვილი ივ., *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, III, *ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე*, IV, *საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე*, თბილისი, 1962

(**Javakhishvili, *Materials of the Material Culture*** – Javakhishvili Iv., *Materials for the History of the Material Culture of the Georgian Nation* III, *Clothing, Textiles and Handicrafts*, IV, *Military Armor and Military Affairs*, Tbilisi, 1962).

ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია – ჯავახიშვილი ივ., *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი მეორე, თბილისი, 1965

(**Javakhishvili, *History of the Georgian Nation*** – Javakhishvili Iv., *History of the Georgian Nation*, Book II, Tbilisi, 1965).

ჯავახიშვილი, ქართველ ხელოვანთა საზოგადოების – ჯავახიშვილი ივ., *ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას – მოხსენება*, ძმ, 7, 1966, (1916 წელს წაკითხული მოხსენების ტექსტი), გვ. 43-51

(**Javakhishvili, *Report to the Board*** – Javakhishvili Iv., *Report to the Board of Directors of the Georgian Artists' Society*, "Dzeglis Megobari", 7, 1966 [Text of the report read in 1916], pp. 43-51).

ჯავახიშვილი, თხზულებანი – ჯავახიშვილი ივ., *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტომი II, თბილისი, 1983

(**Javakhishvili, *Works*** – Javakhishvili Iv., *Works in twelve volumes,* Vol. II, Tbilisi, 1983).

ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი – ჯორბენაძე ს., *ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა*, თბილისი, 1984

(**Jorbenadze, *Life and Contributions*** – Jorbenadze S., *Life and Contributions of Ivane Javakhishvili*, Tbilisi, 1984).

Джавахов, *Термины искусствъ* – Джавахов И., *Термины искусствъ и главнейшія сведенія о памятникахъ искусства и матеріальной культуры въ древнегрузинской литературе*, ХВ, ტ. III, გამ. 1, 1915, გვ. 17-31

(**Javakhov, *Terms of art*** – Javakhov I., *Terms of art and the most important informations about monuments of art and material culture in ancient Georgian literature*, "Khristianskij Vostok", t. III, ed.1, 1915, pp. 17-31).

Kitty Machabeli

Ivane Javakhishvili and Georgian Art

It is difficult to find a field of Kartvelology to whose development Ivane Javakhishvili did not contribute. His scientific range was wide, his research interests were versatile. Among the many issues that the scientist studied, the history of Georgian art occupied an important place. The article is dedicated to the contribution of Iv. Javakhishvili to the study of the history of Georgian art. From the very first steps of his activity, he paid great attention to the issues of researching the history of Georgian material culture. In his works, he repeatedly noted the importance of national art monuments in the history of the country. Iv. Javakhishvili firmly maintained that the study of art history must follow two complementary approaches: analysis of written sources and examination of material remains.

The scientist attached special importance to identifying ancient terminology related to art in written sources and their use in the study of art monuments. The scientist continued to search for information about art monuments in Georgian and foreign sources throughout his career.

Of particular importance in the study of the history of Georgian architecture is Iv. Javakhishvili's work "The Art of Construction in Ancient Georgia", which is essentially a serious study of medieval Georgian architecture. The work collects ancient terms related to construction art and provides an impressive picture of the development of Georgian secular and religious architecture. The scientist sees ancient Georgian construction art on a large scale and focuses on medieval Georgian fresco art and the problems of creating a historical portrait.

The research of Iv. Javakhishvili devoted to various spheres of Georgian material culture is important; among which the research devoted to Georgian historical clothing is noteworthy, in which a completely new approach is used to this most important issue of the history of Georgian culture. The issues of the history of Georgian weapons, military equipment, furniture and utensils are also investigated. These studies are accompanied by numerous examples of old Georgian terminology.

The article discusses Iv. Javakhishvili's contribution to the development of museum work in Georgia, his active work in the Georgian State Museum, his participation in organizing the 750th anniversary exhibition of "The Knight in the Panther's Skin", and his care for the creation of ethnographic museums in various parts of Georgia.

The role of Iv. Javakhishvili in the development of Georgian archaeology, his contribution to the creation of the foundations of medieval archaeology, and his role in the work of archaeological expeditions in the Mtskheta region are emphasized.

Iv. Javakhishvili used the works of art as “historical documents”, of which we have numerous examples in his works. When discussing the successful eras of the country, he uses outstanding examples of art as illustrations.

The article particularly notes Iv. Javakhishvili’s care for the protection of art monuments, and shows the deeply understood measures for the preservation of cultural heritage. The researcher especially notes the importance of medieval Georgian historical sculpture and painting for the study of the country’s history and the necessity of their special protection. Iv. Javakhishvili’s contribution to the study of national music is also discussed.

In Iv. Javakhishvili’s works, in which he touches on a wide range of issues of the history of Georgian art, we see how a century ago the great Georgian scientist cared about problems that are still relevant for the study of art history and the development of modern art.